მ ო რ ი გ ე ბ ი ს ა ქ ტ ი №60-7-113-660

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა" და შპს „ენერგეტიკული ალიანსს" შორის 2013 წლის 19 აპრილს დადებული №60-7-113-375 ხელშეკრულების შესაბამისად და შპს „ენერგეტიკული ალიანსი"-ს მიერ მოწოდებულ საქონელთან დაკავშირებით

ქ. თბილისი 01 აგვისტო 2013 წ.

წინამდებარე მორიგების აქტი დადებულია:

ერთის მხრივ, **სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას"** (შემდგომში "შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი რეაბილიტაციის მმართველის სულხან ზუმბურიძის სახით;

და მეორეს მხრივ, **შპს „ენერგეტიკული ალიანსი"** (შემდგომში "მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის რამაზ შონიას სახით, შორის;

ერთობლივად შემდგომში მხარეებად წოდებულნი;

პ რ ე ა მ ბ უ ლ ა

ა) ვინაიდან, მხარეებს შორის 2013 წლის 19 აპრილს გაფორმებულია №60-7-113-375 ხელშეკრულება, რომლის დანართი №1-ის პირველი და მე-2 გრაფის შესაბამისად "მიმწოდებელმა" აიღო ვალდებულება "შემსყიდველისათვის" მოეწოდებინა 1 ცალი "ЯОИ-3" ეტალონური უჯრედი "ТАНГЕНС-3М" მოწყობილობის კალიბრაციისათვის და 1 ცალი წყლის გამოსახდელი აპარატი АД1-5;

ბ) ვინაიდან, "მიმწოდებელმა" ვერ უზრუნველყო 2013 წლის 19 აპრილის №60-7-113-375 ხელშეკრულების დანართი №1-ის მე-2 გრაფით გათავლისწინებული საქონლის მოწოდება – 1 ცალი წყლის გამოსახდელი აპარატი АД1-5 და მის ნაცვლად მოწოდებულია სხვა ტიპის აპარატი, რაც არ შეესაბამება ჩვენს მოთხოვნებს;

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით,
მხარეები შევთანხმდით ურთიერთშორის და გავაფორმეთ
წინამდებარე მორიგების აქტი შემდეგზე:

1. მიღებულად ჩაითვალოს 2013 წლის 19 აპრილის №60-7-113-375 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი, გარდა დანართი №1-ის მე-2 გრაფით გათვალისწინებული საქონლისა – 1 ცალი წყლის გამოსახდელი აპარატი АД1-5;
2. წინამდებარე მორიგების აქტის პირველი პუნქტის გათვალისწინებით, „შემსყიდველის" მხრიდან ანაზღაურება განხორციელდეს ფაქტიურად მოწოდებული და მიღება-ჩაბარების აქტით დადასტურებული საქონლის შესაბამისად, რომლის საერთო ღირებულება შეადგენს 1300 (ერთი ათას სამასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით;

3. 2013 წლის 19 აპრილის №60-7-113-375 ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.1 პუნქტის თანახმად, საქონლის მოწოდების ვადის 3 (სამი) დღით დაგვიანების გამო „მიმწოდებელს“ შემსყიდველის“ სასარგებლოდ ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე რაც ჯამში შეადგენს 3,90 (სამი ლარი და ოთხმოცდაათი თეთრი) ლარს (მმართველთა საბჭოს 2012 წლის 27 მარტის №7 ოქმის თანახმად არ ექვემდებარება დაჯარიმებას)
4. 2013 წლის 19 აპრილის №60-7-113-375 ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.5 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების დანართი №1-ის მე-2 გრაფით გათვალისწინებული საქონლის მოუწოდებლობის გამო „მიმწოდებელს“ „შემსყიდველის“ სასარგებლოდ ერთჯერადი ჯარიმის სახით ეკისრება 200 (ორასი) ლარის გადახდა, რომელიც დაიქვითება მე-2 პუნქტში აღნიშნული თანხიდან საბოლოო ანგარიშსწორებისას;
5. “მიმწოდებელს” არ გააჩნია და არც მომავალში წარმოეშვება რაიმე პრეტენზია ან მოთხოვნა “შემსყიდველის” მიმართ წინამდებარე მორიგების აქტში მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით;
6. მხარეები აღიარებენ, რომ 2013 წლის 19 აპრილის №60-7-113-375 ხელშეკრულების სხვა დანარჩენი პირობები, დარჩეს უცვლელი.
7. წინამდებარე მორიგების აქტი შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.
8. წინამდებარე მორიგების აქტი გამოიყენება და განიმარტება მხარეთა შორის 2013 წლის 19 აპრილის №60-7-113-375 ხელშეკრულებასთან ერთად.
9. მორიგების აქტი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.

მხარეები:

სს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა”	**შპს „ენერგეტიკული ალიანსი"**
----------	----------
სულხან ზუმბურიძე რეაბილიტაციის მმართველი	რამაზ ... დირექტორი